ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

სტუდენტი: ქეთევან ლაფერაძე

საქართველოს, რუსეთისა და ევროკავშირის ინტერესები შავი ზღვის რეგიონში

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2024 წელი

სარჩევი

ანოტაცია	3
შესავალი	5
თავი I შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია BSEC	9
თავი II ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა	14
2.1. რუსეთი ინარჩუნებს კონტროლს კონფლიქტებზე	17
2.2. შავი ზღვის რეგიონი - ცხელი წერტილი რუსეთსა და დასავლეთს შორის	20
თავი III ქართულ- რუსული წინააღმდეგობები	22
თავი IV სატრანსპორტო დერეფანი ევროპასა და აზიას შორის	24
დასკვნა	32
გამოყენებული ლიტერატურა	35

ანოტაცია

თემის აქტუალურობა - ნაშრომში შავი ზღვა სხვადასხვა რეგიონის ერთობლიობადაა წარმოჩენილი, რომლის გეოპოლიტიკური მდებარეობაც მისი მოსაზღვრე ქვეყნების ერთობლიობასა და დასავლეთის მხარდაჭერას მოითხოვს, თუმცა ამავე დროს, იგი ინტერესთა კონფლიქტის დაპირისპირების საგანი ხდება. დასავლეთის ჩართულობის იდეას არ ეთანხმება რუსეთის ფედერაცია, რომლიც დღემდე ქმნის კონფლიქტურ კერებს რეგიონის სხვადასხვა ქვეყნებში და ამით აფერხებს როგორც დასავლეთის ჩართულობას, ასევე კონკრეტულად საქართველოს განვითარებასაც.
თემის მიზნები და ამოცანები - არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობის წარმოჩენა, საქართელოს ინტერესების ხაზგასმა, დასავლეთის ინტერესებისა და მნიშვნელობის წარმოჩენა შავი ზღვის რეგიონში.
კვლევის საგანსა და ობიექტს წარმოადგენს შავი ზღვის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, დასავლეთი, როგორც უსაფრთხოებისა და განვითარების გარანტი, რუსეთი - როგორც საქართველოს დაბრკოლება ევროპულ გზაზე.
ძირითადი შედეგი შემდეგია: შავი ზღვის რეგიონის განვითარებისთვის აუცილებელია დასავლეთის ჩართულობა, საქართველოს მომავალი დასავლურია, ხოლო რუსეთმა უნდა შეწყვიტოს კონფლიქტური კერების წარმოება.
სიახლე - საქართველოსთვის სიახლე იქნება საზღვაო ქალაქებში პორტების განვითარება და იქიდან მიღებული ეკონომიკური სარგებელი. პორტების

განვითარებისთვის საჭირო დეტალებზე უფრო ვრცლად თემის ძირითად ნაწილში ვისაუბრებთ.

Annotation

Urgency of topic – Black sea is represented as union of many region, whose geopolitical location requires unity of it's neighbor countries and support of western countries, but at the same time, it is the subject of contradistinction of interests. Russia doesn't agree with the idea of engaging western countries, which has been creating conflicts in different regions and delays engagement of west, including improvement of Georgia.

Sums and goals of topic – representation of existed geopolitical codition, highlight the interests of Georgia, representation of interests and importancy of west in Black sea region.

The subject and object of the research is geopolitical importancy of Black sea region, western countries, as warrantee of safety and improvement, Russia- as obstacle for Georgia on its European way.

Main result : engagement of west is important for improvement of Black sea region, as the future of Georgia is western and Russia should stop creating conflicts.

Innovation- innovation for Georgia will be improvement of seaports in seaside cities and its economical benefit. We will discuss more extensively about important details for seaport developement in the main part of the work.

შესავალი

ზოგადი დახასიათება:

შავი ზღვა მდებარეობს ევროპასა და აზიას შორის, ბალკანეთის აღმოსავლეთით, აღმოსავლეთ ევროპის დაბლობის სამხრეთით, კავკასიის დასავლეთით და ანატოლიის ჩრდილოეთით, არის ხმელთაშუა ზღვასა და ატლანტის ოკეანეს შორის. იგი გარშემორტყმულია საქართველოთი, ბულგარეთით, რუმინეთით, თურქეთით, რუსეთითა და უკრაინით. ევრაზიის კონტინენტში შავი ზღვა ყველაზე ღრმადაა შეჭრილი. შავი ზღვა ხმელთაშუა ტიპის ზღვაა. იგი მარაგდება ძირითადი მდინარეებით, როგორებიცაა დუნაი, დნეპერი და დნესტრი. მიუხედავად იმისა, რომ ექვს ქვეყანას აქვს სანაპირო ზოლი ზღვაზე, მისი სადრენაჟო აუზი მოიცავს ევროპის 24 ქვეყნის ნაწილს. შავი ზღვა მოიცავს 436,400 კმ2 (აზოვის ზღვის გამოკლებით), აქვს მაქსიმალური სიღრმე 2,212 მ და მოცულობა 547,000 კმ3 . შავ ზღვას აქვს დადებითი წყლის ბალანსი, წლიური წმინდა გადინება 300 კმ3 წელიწადში ბოსფორისა და დარდანელის გავლით ეგეოსის ზღვაში. მაშინ როცა წყლის წმინდა ნაკადი ბოსფორისა და დარდანელის გავლით (ერთობლივად ცნობილია როგორც თურქეთის სრუტე) გადის შავი ზღვიდან, წყალი, როგორც წესი, მიედინება ორივე მიმართულებით ერთდროულად:ეგეოსის ზღვიდან უფრო მკვრივი, მარილიანი წყალი ჩაედინება შავ ზღვაში, ნაკლებად მკვრივი, მტკნარი წყლის ქვეშ, რომელიც გამოდის შავი ზღვიდან. ეს ქმნის ღრმა წყლის მნიშვნელოვან და მუდმივ ფენას, რომელიც არ დნება და არ ერევა და, შესაბამისად, არის ანოქსიური. ეს ანოქსიური ფენა პასუხისმგებელია შავ ზღვაში აღმოჩენილი უძველესი გემების შენახვაზე.

წყლის დონე მნიშვნელოვნად იცვლებოდა დროსთან ერთად. წყლის გარკვეულ კრიტიკულ დონეზე შეიძლება დამყარდეს კავშირი მიმდებარე წყლის ობიექტებთან. სწორედ ამ დამაკავშირებელი მარშრუტების, თურქეთის სრუტეების, ყველაზე აქტიური გზით უერთდება შავი ზღვა მსოფლიო ოკეანეს. გეოლოგიური პერიოდის განმავლობაში, როდესაც ეს ჰიდროლოგიური კავშირი არ არსებობდა, შავი ზღვა იყო ენდორეული აუზი, რომელიც მოქმედებდა გლობალური ოკეანის სისტემისგან დამოუკიდებლად (დღეს კასპიის ზღვის მსგავსი). ამჟამად შავი ზღვის წყლის დონე შედარებით მაღალია; ამრიგად, წყლის გაცვლა ხდება ხმელთაშუა ზღვასთან. შავი ზღვის წყალქვეშა მდინარე არის განსაკუთრებით მარილიანი წყლის დინება, რომელიც მიედინება ბოსფორის სრუტეში და შავი ზღვის ფსკერზე, რომელიც მისი პირველადი სახის მსგავსია. შავი ზღვა განიხილება მსოფლიო საკითხებში, მათ შორის სავაჭრო მარშრუტებში და დიდი მნიშვნელობა აქვს.

შავი ზღვა განუყოფელ როლს ასრულებს აზიისა და ევროპის კავშირში. საზღვაო პორტებისა და თევზაობის გარდა, ძირითადი საქმიანობა მოიცავს ნახშირწყალბადების მოძიებას ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოსაპოვებლად და ტურიზმს. ნატოს თანახმად, შავი ზღვა არის სტრატეგიული დერეფანი, რომელიც უზრუნველყოფს კონტრაბანდის არხებს ლეგალური და არალეგალური საქონლის გადასატანად. ტრანსპორტის მუშაკთა საერთაშორისო ფედერაციის 2013 წლის კვლევის მიხედვით, შავ ზღვაში სულ მცირე 30 მოქმედი სავაჭრო საზღვაო ნავსადგური იყო (მათ შორის სულ მცირე 12 უკრაინაში). შავ ზღვაში ასევე 2400-მდე კომერციული გემი მოქმედებდა.შავი ზღვა არის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო არტერია მთელი წლის განმავლობაში, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მსოფლიო ბაზრებთან. ოდესა, უკრაინის ისტორიული ქალაქი, ილიჩივსკის მიმდებარე პორტთან ერთად, საზღვაო ტვირთბრუნვის უმეტესი ნაწილია. ნოვოროსიისკის პორტები და უფრო მცირე ზომით, ტუაფსეს და ბათუმის პორტები უფრო აღმოსავლეთით სპეციალიზირებულია ნავთობზე. ბულგარეთში, ვარნა და ბურგასი არის მთავარი პორტები. კონსტანცია, რუმინეთში, აკავშირებს ნავთობის

მატარებელ რეგიონებს უცხოურ ბაზრებთან, ხოლო დუნაი მოქმედებს როგორც უზარმაზარი სავაჭრო არტერია ბალკანეთის ქვეყნებისთვის. ასევე ზღვის გადაზიდვების დიდ მოცულობას ტანკერები შეადგენენ, რომლების რუსეთისა და საქართველოს პორტებიდან ახორციელებენ ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის ექსპორტს. ნოვოროსიისკის ნავთობტერმინალებს შესაძლებლობა აქვთ სუპერტანკების მიღების. ასევე ბათუმში არის ბათუმის ნავთობტერმინალი, რომელიც ნედლ ნავთობს და ნავთობპროდუქტებს ტვირთავს. TRACECA - რომელიც საერთაშორისო სატრანსპორტო კორიდორია, შავ ზღვასთანაა დაკავშირებული.

1992 წლის 25 ივნისს ხელი მოეწერა და საფუძველი ჩაეყარა BSEC - შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონის 11 ქვეყნის მიერ, რომლებიცაა : საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, ალბანეთი, მოლდოვა, რუსეთი და უკრაინა. მისი მთავარი მიზანი იყო მასში შემავალი ქვეყნების სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება, დემოკრატიული პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა და კეთილდღეობა.

შავ ზღვაზე საუბრისას აუცილებლად ყურადღება უნდა გავამახვილოთ „აბრეშუმის გზასა“ და მილსადენებზე, რადგან დასავლეთის მხრიდან მის მიმართ ინტერესი საკმაოდ დიდია და ეს ყოველივე მისი ენერგო და ნავთობუსაფრთხოების გარანტიაა.

აქვე ყურადსაღებია რუსეთის ანტიდასავლური განწყობა და ევროკავშირისთვის ხელის შეშლის მიზნით იგი კონტროლს ინარჩუნებს კონფლიქტურ რეგიონებზე და ამით ხელს უშლის როგორც მთლიანად რეგიონის, ასევე საქართველოს განვითარებასაც.

სიახლე

შავი ზღვის რეგიონის საკითხი ხშირად გამხდარა პოლემიკის საგანი, თუმცა მაინც შეგვიძლია ვთქვათ რომ, ასე ფოკუსირებულად, ერთი მიმართულებით გამახვილებული ყურადღება - კონკრეტულად საქართველოს, რუსეთსა და

ევროკავშირის ინტერესებზე შავი ზღვის რეგიონში, კვლევის არსითა და კვლევის საგნის გათვალისწინებითაც სიახლეს წარმოადგენს.

აქტუალობა

მიმაჩნია, რომ მოცემული ნაშრომი აქტუალურია რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტიდან გამომდინარე: ერთი - ეს არის მიმდინარე პოლიტიკური პროცესის (საქართველო-რუსეთი-ევროკავშირი და შავი ზღვის რეგიონი მათ ინტერესებში) კვლევის გაძლიერება და მეორე, საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის, შავი ზღვის პოლიტიკის კვლევის სრულყოფის კიდევ უფრო გაზრდასა და დაზუსტებაში.

კვლევის მიზნები:

წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანია, თანამედროვე საქართველოს რეალობის ასახვა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ანალიზის საფუძველზე, სათანადო დასკვნების გაკეთება და პოლიტიკური გამორკვევა.

საკვლევი კითხვა:

ნაშრომის საკვლევი კითხვაა თუ როგორია საქართველოს ამჟამინდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მომავალი შავი ზღვის რეგიონში დასავლეთისა და რუსეთის ინტერესების გატარების ფონზე.

კვლევის მეთოდები:

კვლევის მეთოდების თვალსაზრისით, საბაკალავრო ნაშრომისთვის შევარჩიე, ტექსტზე დაკვირვების მეთოდი, რაც გულისხმობს არსებული დოკუმენტების შესწავლა - ანალიზს (აკადემიური და არააკადემიური სტატიები, წიგნები, სტატიები, ოფიციალური საბუთები) , ოფიციალური პირების განცხადებების მიმოხილვა - ანალიზი , თვისებრივი სტრატეგია - უფრო კონკრეტულად კი ახსნითი ქეისი (რადგან ვცდილობთ ახსნა მოვუძებნოთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს).

თავი I. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია BSEC

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა 1992 წლის 25 ივნისს შეიქმნა. მონაწილე ქვეყნებმა (აზერბაიჯანი, ალბანეთი, სომხეთი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა) დამფუძნებელ დეკლარაციას მოაწერეს ხელი, რომელშიც განსაზღვრულია თანამეგობრობის პრიორიტეტული მიმართულებები და ურთიერთქმედების ძირითადი მექანიზმები. ამ ეკონომიკურ თანამშრომლობაში მიმდინარე პროცესები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ობიექტური ტენდენციების შესაბამისად მიმდინარეობს.[1] რეგიონალური თანამშრომლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს, სადაც ეკონომიკური ინტეგრაცია სრულიად ახალ და განსხვავებულ პრინციპებზე ვითარდება. [2]
ინტეგრაცია გარკვეულ სტრუქტურაში ან სტრუქტურებში რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანებას გულისხმობს, რომელიც საერთო მიზნების განხორციელებას ისახავს მიზნად. წარმატებით განხორციელებული ინტეგრაცია ცალკეულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ერთეულებს, მათ შორის, პატარა ქვეყნებს საშუალებას აძლევს

---

[1] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ.2

[2] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ.3

ძალისხმევათა გაერთიანების საფუძველზე უფრო დიდ და ამბიციურ მიზნებს მიაღწიონ.[3]

ინტეგრაცია შავი ზღვის რეგიონში განვითარების ეტაპზეა.

შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობაში დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობენ მთელი რიგი განვითარებული ქვეყნები (იტალია, ავსტრია, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ), ხოლო ევროკავშირი შავი ზღვის რეგიონს სტრატეგიული ინტერესების სფეროდ განიხილავს, რაც თანამშრომლობის პერსპექტიულობას ადასტურებს და გარკვეული წარმატების საფუძველს ქმნის. განვითარებული ქვეყნების გავლენა განვითარებად ქვეყნებზე ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება: პირველი, განვითარებადი ქვეყნების ჩართვა ეკონომიკურ დაჯგუფებებში და მეორე, ინტეგრაციულ ღონისძიებებში უშუალო მანაწილეობა პროექტებში მონაწილეობით. აღნიშნული ღონისძიებები ხორციელდება სწორედ BSEC - ში.[4]

დღესდღეობით, შავი ზღვის სივრცეში უამრავი პრობლემა არსებობს, რომელთა გადასაჭრელად საჭირო და აუცილებელია რომ რეგიონის ქვეყნები ერთმანეთს დაეხმარონ და პროექტების განხორციელებაში ერთობლივად მიიღონ მონაწილეობა, რაც დადებით გავლენას მოახდენს არა მარტო ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ საერთოდ, მთელი რეგიონის მშვიდობიან და სტაბილურ განვითარებაზეც.[5]

შავი ზღვის რეგიონში არსებული პროექტები, თავისი მნიშვნელობით ხშირად სცდება რეგიონის ფარგლებს და გლობალური ხასიათის დატვირთვასაც იძენს (მაგ: სატრანსპორტო დერეფანი, ეკოლოგიური უსაფრთხოება, საკომუნიკაციო საშუალებები, ტურიზმი და ა.შ).

---

[3] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 3

[4] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 6

[5] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 8

შავი ზღვის რეგიონში პერსპექტიული თანამშრომლობის განვითარება მრავალ სფეროში შეიძლება. ცალკეული ქვეყნების ეკონომიკების დარგობრივი სტრუქტურებიდან გამომდინარე, მონაწილე ქვეყნებმა პრიორიტეტი მიანიჭეს თანამშრომლობის განვითარებას ეკონომიკის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში როგორიცაა სტანსპორტი და კავშირგაბმულობა (მათი ინფრასტრუქტურების ჩათვლით), ენერგეტიკა, მინერალური წიაღისეული მოპოვება და გადამუშავება, ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და აგრომრეწველობა, ჯანდაცვა და მედიკამენტების წარმოება, მეცნიერება და ტექნიკა, ინფორმატიკა.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ნებისმიერი პროექტის დაგეგმვისა, თუ განხორციელების პროცესში გათვალისწიენბული იქნება თითოეული მონაწილე ქვეყნის სპეციფიკური ეკონომიკური პირობები და ინტერესები, განსაკუთრებით საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნების პრობლემები.[6]

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის გაერთიანების კოორდინატორები საგარეო საქმეთა სამინისტროები არიან, ხოლო უმაღლესი ორგანო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოა, თუმცა ეს სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ დროდადრო სახელმწიფოთა მეთაურები, ანუ ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელები შეიკრიბონ და უფრო სტრატეგიული ამოცანები და მიზნები დაისახონ, რაც BSEC-ის ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს მეტ ძალას ჰმატებს.[7]

BSEC-ში აბსოლუტურად განსხვავებული სახელმწიფოებია გაერთიანებული, ხშირ შემთხვევაში ისეთებიც კი, რომლებიც ისტორიულად ერთმანეთს მტრობდნენ. რეგიონის თითოეულ ქვეყანას მეზობელ სახელმწიფოსთან გარკვეული სახის პრობლემები გააჩნია. ერთმანეთს უპირისპირდება საქართველო და რუსეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი, თურქეთი და საბერძნეთი, უკრაინა და რუსეთი და ა.შ. ამას ემატება მთელი რიგი „ცივი“ და შეიარაღებული კონფლიქტები, რაც არც თუ ისე

---

[6] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 9

[7] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 10

იშვიათად ეკონომიკური სანქციებით მთავრდება და შესაბამისად, განუსაზღვრელი დროით აფერხებს ეკონომიკური თანამშრომლობების შესაძლებლობებს.
BSEC - ში საკმაოდ ხშირად ხდება ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების ურთიერთგადახლართვა. პოლიტიკური ინტერესების სიძლიერე ხანდახან ეკონომიკურ შესაძლებლობებს ჩამორჩება. მიუხედავად ამისა, ეკონომიკური მოგების მიღება და ხელსაყრელი პროექტების განხორციელება ყველა ქვეყნის ინტერესებშია. რუსეთთან მიმართებაში აშშ-სა და თურქეთის ინტერესების თანხვედრას ხშირად აქვს ადგილი. ამიტომ საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ მივიჩნევთ, რომ თურქეთის ინიციატივა BSEC-ის შექმნის შესახებ გარკვეულწილად აშშ-ის ინტერესებს პასუხობს და რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის შემცირებისკენ არის მიმართული.
თურქეთმა ვერ შეძლო BSEC-ის მთავარი დონორი გამხარიყო, თუმცა უდავოდ წამყვანი პოზიცია უკავია. მას ამის საშუალება არ მისცა მისმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა პოტენციალმა.
რაც შეეხება ბულგარეთს, უკრაინასა და მოლდოვას, ეს ქვეყნები ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებას ცდილობენ. BSEC - ის წევრობაც ამ მიზნისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. [8]
საბერძნეთი, BSEC-ის ქვეყნებს შორის ევროკავშირის ერთადერთი წევრი სახელმწიფო, ამ ორგანიზაციის განვითარებით სერიოზულადაა დაინტერესებული. იგი ევროკავშირსა და BSEC-ს შორის შუამავლის როლის შესრულებას ცდილობს. საქართველოსა და აზერბაიჯანის ინტერესები თითქმის ანალოგიურია. ორივე მათგანს კავკასიაში რუსეთის გავლენის შემცირება სურთ. ამასთან, მათ იმედი აქვთ რომ BSEC-ის წევრობა მომავალში ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებაში დაეხმარება.

---

[8] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 15

რუსეთს თურქეთისგან სრულიად განსხვავებული მიზნები ამოძრავებს. იგი „ახლო საზღვარგარეთზე“ გავლენის შენარჩუნებას ცდილობს, რაც ამ ქვეყნისთვის, უპირველეს ყოვლისა, თურქეთისა და დასავლეთის შეკავებას ნიშნავს. რუსეთის გაწევრიანება BSEC-ში, თავდაპირველად, სწორედ ამიერკავკასიაში თურქეთის გავლენის ზრდის თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად, და ფაქტობრივად, იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა. ის ამოცანები, რომლებსაც BSECის წევრები ამ ორგანიზაციის შექმნით ისახავდნენ, რუსეთის ინტერესებს არ ემთხვეოდა. თავდაპირველად რუსეთს BSEC-ში მოქმედების გარკვეული გეგმა შემუშავებული არ ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ პირველ ეტაპზე იგი ამ თანამშრომლობაში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს ხელს უშლიდა და ორმხრივი ურთიერთობით მანიპულირებდა.

ამ გაერთიანებაში მონაწილე 11 ქვყანა თანაბარუფლებიანობის პრინციპზე დაყრდნობით თანამშრომლობს. ნებისმიერი გადაწყვეტილება კონსესუსის საფუძველზე მიიღება. შეთანხმება მიღწეულად არ ითვლება, თუ მიღებულ გადაწყვეტილებას თუნდაც ერთი ქვეყანა არ ეთანხმება.[9]

BSEC-ი ევრაზიის ცენტრში პოლიტიკური და ეკონომიკური ვაკუუმის შევსების ერთადერთი საშუალებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ დსთ-ის ამჟამინდელ უუნარობასა და უმოქმედობას. ევრაზიის უზარმაზარი ეკონომიკური პოტენციალი მეტად მიმზიდველია დასავლეთის, კერძოდ ევროპის განვითარებული ქვეყნებისთვის. თუმცა მთელი რიგი სირთულეების, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის გამო ევროკავშირი თავს იკავებს გადამწყვეტი მოქმედებებისგან და უფრო ფრთხილ ნაბიჯებს დგამს.

რეგიონული თანამშრომლობის წარმატებით განვითარების შემთხვევაში გაცილებით ადვილი გახდება თანამშრომლობა ევროკავშირთანაც, რაც არა მარტო BSEC-ის, არამედ საქართველოს ეროვნული პრიორიტეტიცაა. რეგიონული თანამშრომლობის

---

[9] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 16

მნიშვნელობა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების კონტექსტში მეტ დატვირთვას იძენს.[10]

BSEC-ში საქართველოს მონაწილეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა BSEC-ის სპეციფიურმა ხასიათმა განაპირობა, რომელიც რეგიონის უნიკალურიბითა და დიდძალი პოტენციალით იყო განსაზღვრული. საქართველო ამ ალიანსს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს. გარდა აღნიშნულისა, BSEC-ში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელოვან მოტივაციას ევროსტრუქტურებში ინტეგრაციის პერსპექტივა წარმოადგენს. საქართველოს საგარეო პოლიტიკის გლობალური მიზანი მუდამ ევროპასთან დაახლოება იყო. საქართველოს ევროპული ორიენტაციის საკითხი ყოველთვის დღის წესრიგში იდგა. [11]

BSEC-ის გეოსტრატეგიული პოზიცია ევროკავშირისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის და ევროკავშირსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ხიდის ფუნქციის შესრულებას უკავშირდება. BSEC-ი ეკონომიკურად მჭიდროდ არის დაკავშირებული ცენტრალური აზიის ისეთ ქვეყნებთან როგორიცაა თურქმენეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი და ყაზახეთი, რომელთა ბაზრები ევროპის ქვეყნების ინტერესის ობიექტს წარმოადგენს. საქართველო ამ კავშირების რეალიზაციის გზაზე განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ამის დამდასტურებელია ის ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოსთან მთელ რიგ ქვეყნებს აქვს დადებული BSEC-ში საქართველოს გაწევრიანების შემდეგ (სარაქსის ხელშეკრულება, სუამის შეთანხმება და ა.შ).[12]

---

[10] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 17

[11] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშრომლობა BSEC-ში გვ 18

თავი II. ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა

შავი ზღვა ევროპას აკავშირებს კასპიის რეგიონთან და ამასთანავე სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიასთან. ევროკავშირისთვის შავ ზღვას აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მნიშვნელობა, უფრო კონკრეტულად კი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისთვის უსაფრთხოების მხრივ, რომლებიც დუნაი-შავი ზღვის აუზის გასწვრივ იმყოფებიან. ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოება დროდადრო მეტად დამოკიდებული ხდება სამხრეთ კავკასიაზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ზღისპირა სახელმწიფოებზე გამავალ მილსადენის პროექტზე. ევროპასა და აზიას შორის ახალი სატრანსპორტო მარშრუტების განვითარების გეგმები ასევე დაკავშირებულია რეგიონთან.

2007 წლის 1 იანვარს, ბულგარეთისა და რუმინეთის გაწევრიანებასთან ერთად, ევროკავშირი ოფიციალურად შავ ზღვაში შევიდა. მანამდე ევროკავშირის ინსტიტუტები ძალიან თავშეკავებულნი იყვნენ შავი ზღვის მიმართ

ნებისმიერი ინტერესის გამოხატვისგან, როგორც პოლიტიკის აქტუალური რეგიონის მიმართ. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციასაც (BSEC) არ ჰქონდა დადებითი პასუხი ევროკავშირის დამკვირვებლად გახდომაზე. თუმცა 2007 წლის აპრილში მომზადდა პოლიტიკის დოკუმენტი სახელწოდებით „შავი ზღვის სინერგია - ახალი რეგიონალური ინიციატივა“. ამ დოკუმენტის სათაური და მისი შინაარსი საოცრად ჰგავს CEPS-ის პოლიტიკის მოკლე აღწერას , 2006 წლის ივნისი ფაბრიციო ტასინარის მიერ სათაურით „სინერგია შავი ზღვის რეგიონული თანამშრომლობისთვის – სახელმძღვანელო ევროკავშირის ინიციატივისთვის“. კომისიის შავი ზღვის სინერგიის დოკუმენტმა ამგვარად გამოაცხადა ახალი შავი ზღვის პოლიტიკის გახსნა ევროკავშირისთვის. შავი ზღვის სინერგიის ინიციატივა არის ევროპული სამეზობლო პოლიტიკა, გაფართოების პოლიტიკის შემავსებელი

თურქეთისთვის და სტრატეგიული პარტნიორობა რუსეთის ფედერაციასთან. რეგიონი გადამწყვეტია ევროპისთვის ევროპის, ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის შესაყარზე მდებარეობის გამო. სინერგია ასევე მოიცავს პერსპექტივას დამოუკიდებელი სტრატეგიის შემუშავებისთვის შავი ზღვის რეგიონის განსავითარებლად.

შავი ზღვის გაძლიერებისას ევროკავშირს სურვილი ქონდა გაფართოებულიყო, რისთვისაც რუსეთთან პარტნიორობა გამოიყენა, თურქეთს გაუწია დახმარება და ასევე პარტნიორობის ხელშეკრულება დადო სამხრეთ კავკასიის ზოგიერთ ქვეყანასთან. ამ დროს შავი ზღვის რეგიონს უამრავი გამოწვევა ჰქონდა და ევროკავშირის ჩარევის შემდეგ მისი გავლენა საკმაოდ გაიზარდა. ამავდროულად რუსეთის აგრესორულმა გეგმებმა და ქცევამ, რაც მკაფიოდ გამოიხატება მის სურვილში , გააფართოვოს საზღვები და ჰქონდეს სტრატეგიული უპირატესობა, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებაში დიდი ცვლილებები მოახდინა. ასევე ევროკავშირის ინტერესი გახდა მოეგვარებინა რეგიონის პრობლემები, როგორებიცა ეკონომიკური განვითარება, გარემო, მიგრაცია,კონტრაბანდის გადაზიდვა, ტერორიზმი, ნარკოტიკი და ტრეფიკინგი, სამხედრო დაპირისპირებები.

რეგიონში მდებარე ქვეყნებს ან სატრანზიტო დანიშნულება აქვთ ან ბუნებრივი რესურსით არიან დატვირთულნი, რაც ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ასევე ეს ქვეყნები აკავშირებენ ცენტრალური აზიის და კასპიის რეგიონს, რომლებიც ასევე ბუნებრივი რესურსებით მდიდრები არიან. აქეედან გამომდინარე შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოებას ყოველთვის დიდი გავლენა ექნება ევროკავშირზე.

90იანი წლების შუა პერიოდის შემდეგ BSEC ფაქტობრივად ერთადერთი ფორმატია, რომ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა ითანამშრომლონ. 2007 წლიდან ევროკავშირი მისი 17 დამკვირვებლიდან ერთ-ერთი გახდა. 2014 წელს ევროკავშირისა და რუსეთის თანამშრომლობის პროგრამების შესაფასებლად ევროკომისია მოიწვიეს და

რამდენიმე, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი პროგრამების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღეს, რაც რუსეთის პოლიტიკის მიმართ უთანხმოების გამო მოხდა და 2008 წლის საქართველოს ოკუპაციას და ამავდროულად 2014 წლის უკრაინის ანექსიას უკავშირდება. რუსეთი აქტიურად ცდილობს შეაჩეროს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის დასავლეთისაკენ გადადგმული ნაბიჯები, რაც ნატოსა და ევროკავშირს ეხება და ახდენს ზეწოლას ევრიკავშირთან დაკავშირებულ ქვეყნებზე რითაც მათი საგარეო პოლიტიკის ცვლილება სურს. ახალი გეოპოლიტიკური რეალობით რუსეთს აქვს ისეთი სამხედრო შესაძლებლობები, რომ შავი ზღვის ფლოტებს შეუძლია დიდი საფრთხე შეუქმნას, განსაკუთრებით უკრაინასა და საქართველოს.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ: არსობრივად მნიშვნელოვანია ევროკავშირისთვის უკრაინისა და საქართველოს ინტერგაცია, რადგან უკრაინა ბუფერული სახელმწიფოა ხოლო საქართველოს ხიდის ფუნქცია აქვს შავ და კასპიის ზღვებს შორის. თუმცა რუსეთის გააქტიურებული ზეწოლამ, შეიძლება ეს მოტივაცია საგრძნობლად შეამციროს.

2.1 რუსეთი ინარჩუნებს კონტროლს კონფლიქტებზე

შავი ზღვის რეგიონი შესაძელებელია დაიყოს ძირითად სამ ზონად, რომელიც წარმოადგენს გეოპოლიტიკურ არეალს, ამით ხდება მათი გავლენების განსაზღვრა და მნიშვნელობების დადგენა.

1. პირველს წარმოადგენს შავი ზღვის ცენტრალური ზონა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნულ

რეგიონში პოლიტიკური გადმოსახედიდან ქმნიან პოლიტიკურ ატმოსფეროს და რომლებსაც გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე გააჩნიათ შავ ზღვაზე გასასვლელი; ასეთ ქვეყნებს წარმოადგენს: თურქეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი, საქართველო, ბულგარეთი.

2. მეორე ზონას წარმოადგენს შავი ზღვის შიგა საფლანგო ზონა, რომელში არსებულ სახელმწიფოებსაც არ გააჩნიათ შავ ზღვაზე პირდაპირი გასასვლელი თუმცა მას უკავშირდებიან სხვადასხვა გზით, ამ კავშირებს წარმოადგენს ბუნებრივ-გეოგრაფიულ დისპოზოცია, პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირები, რეგიონულ თვალსაზრისით პოლიტიკის განხორციელება და საკომინუკაციო არხები.
3. რაც შეეხება მესამე ზონას მას წარმოადგენს შავი ზღვის რეგიონის გარე საფლანგო ზონა, მასში გაერთიანებულია ის სახელმწიფოები რომლებიც მდებარეობენ რეგიონს მიღმა, თუმცა ზონის შიგნით არსებული მოვლენები მათ დიდ დაინტერესებას იწვევენ სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე, რომელსაც წარმოადგენს უსაფრთხოების, ეკონომიკური თუ გლობალური ინტერესები.

ეგეოსის აუზებს, ხმელთაშუა ზღვისა და კასპიის ზღვას შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დაკავებული შავი ზღვის რეგიონს, ვინაიდან იგი წარმოადგენს საკმაოდ სასარგებლო გარემოს აღმოსავლეთში გასასვლელად, სწორედ ამის გამოა, აღსანიშნავი აღნიშნულ რეგიონისადმი დაინტერესება მნიშვნელოვანი და წარმოსადეგი სახელმწიფოთა მიერ. მეზობელი ქვეყნის რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ნატოსა და მის წევრ ქვეყნებთან მეგობრობა და თანამშომლობა დაუშვებელია, ასევე მიუღებელია რეგიონის დემოკრატიზაცია, და მისი ინტერესების გათვალისწინებით სასურველია გაზისა და ნავთობის განსხვავებული და უცხო პროექტების განვითარება.

სამწუხაროდ რეგიონში გავითარებულ კონფლიქტებზე რუსეთს გააჩნია გავლენა და კონტროლი, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ ნატო-ს წევრია სამი შავიზღვისპირეთის

ქვეყანა, რის გამოც ნატო როგორც საფრთხე ისე განიხილავს ევრო-ატლანტიკური არეალისთვის და რეგიონისთვის რუსეთის სამხედრო დაწინაურებას და არამშვიდობიან პოლიტიკას.

შავი ზღვის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს წევს ქვეყნებთან კავშირის გამყარებას და რუსეთის გავლენის გაზრდასთან ბრძოლას როგორც კავკასიის ასევე შავი ზღვის არელაში.

რუსეთის ქმედებები პროვოკაციული ხასიათისაა, მისი პოლიტიკა შავ ზღვაში „ძლიერი სახელმწიფოს“ იდენტობით განისაზღვრება.

თუ დავეყრდნობით რუსეთის ნარატივებს, მას მჭიდრო კავშირი გაანია შავი ზღვის სახელმწიფოებთან, როგორც კულტურილუ მემკვიდრეობის სახით ისე ისტორიული წარსულის თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს რომ შავი ზღვის გამოყენებას რუსეთისთვის წარმოადგენს დიდ მნიშვნელობას, რადგან იგი თბილი ზღვაა, რომელის პორტებიც გამოყენებაც წელიწადის ყველა დროს არის შესაძლებელი ვინაიდიან იგი ერთადერთი ზღვაა რომელიც არ იყინება, რამდენიმე წლის წინ ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ შავი ზღვისა და აზოვის არეალი რუსეთისთვის წარმოადგენს სტრატეგიული ინტერესების სფეროს, რომელშიც შედის სატრანზიტო მარშრუტები.

შავი ზღვის გარშემო რუსეთის საგარეო პოლიტიკა ორ მნიშვნელოვან ამოცანას ისახავს, პირველს წარმოადგენს - საკუთარი ძალებისა და გავლენის შენარჩუნება რომელიც თან ერთვის ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების შეჩერებას, რაც შეეხება მეორე ამოცანას - რუსეთისთვის მნიშვნელოვანია შავ ზღვაზე საზღვაო ძალების გაუმჯობესება და მისი ძალების დემონსტრირება.

ქართული მხარისთვის რუსეთის გავლენის შემცირება, ევროპის მხარდაჭერის გაძლიერება და შავ ზღვაში მოსალოდნელი შეტაკებების თავიდან აცილებაა პრიორიტეტი.

საქართველოსთვის ევრო-ატლანტიკურ სივრცესთან ინტეგარაციას გეოგრაფიული თვალსაზრისით წარმოადგენს შავი ზღვა, რომელიც მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა

საქართველოს დიდი სურვილი და მიზანი აქვს თავი დააღწიოს როგორც რუსეთის ისე პოსტსაბჭოთა სივრცის გავლენას და იქცეს შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ერთ-ერთ ნაწილად, თუმცა გარკვეულ სიძნელეს წარმოადგენს თავისი ინტერესების გატარება, შავი ზღვის რეგიონში სხვა ძლიერი ქვეყნების არსებობის გათვალისწინებით.

ისეთი ქვეყნების მონოპოლია, სამხედრო ზეგავლენა და უპირატესობა როგორიცაა რუსეთი და თურქეთი, საქართველოს მცირე შანსს უტოვებს შავ ზღვაზე ოპერირებისთის, რომ იყოს დამოუკიდებელი და საიმედო გადაწყვეტილების მიმღები, ჩვენი ქვეყნისთვის პრიორიტეტულია შავი ზღვის უსაფრთოების თვალსაზრისით, ნატოს ამოქმედება და გააქტიურება, რადგან იგი საკუთარი ინტერესების დაცვისთვის ჩართულია და მონაწილეობას იღებს ალიანსში.

2.2 შავი ზღვა - ცხელი წერტილი რუსეთსა და დასავლეთს შორის

მოსკოვი არ აღიარებდა ევროპის მიერ ენერგეტიკული პროექტების წარმოებას შავი ზღვის რეგიონთან დაკავშირებით. ამიტომ, იმისათვის, რომ რეგიონის ქვეყნებმა არ მიაღწიონ თავიანთ მიზნებს და შეაფერხონ მათ ევროატლანტიკურ დაფუძნებას, რუსეთი ცდილობდა შეექმნა და/ან შეენარჩუნებინა კონტროლი რეგიონის კონფლიქტურ ცენტრებზე, რომლებითაც შემდგომ მანიპულირებდა. ასე რომ, რუსეთი აკონტროლებდა ისეთ ტერიტორიებს შავი ზღვის რეგიონში სადაც ხდებოდა კონფლიქტური სიტუაციები, მაგალითად უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილის არეულობა, ყარაბაღი, აფხაზეთი და ა.შ.[28]

სტატია რომლის სათაურია - "რუსეთსა და დასავლეთს შორის რის გამო ითვლება შავი ზღვა ცხელ წერტილად“ (რომლის ავტორები არიან - ბენ ჰაბარდი და გულსინ ჰარმანი) არის ამერიკულმა გაზეთმა "ნიუ-იორკ თაიმსმა" (The New York Times) .

„სტატისტიკას თუ შეადგენთ დიდი პოტენციალია იმისა რომ თუ რუსეთისა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების შეტაკება მოხდება, მაშინ ეს ტერიტორია შავ ზღვასთან მდებარეობდეს“

ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგზე მდებარე ეს გიგანტური წყალსატევი დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა, ერთი მხრივ, აშშ-ისა და მისი ევროპელი მოკავშირეების და, მეორე მხრივ, რუსეთის მეტოქეობის არეალად, ხოლო რუსეთ-უკრაინის ომმა მათი კონკურენციის დინამიკა უფრო გააძლიერა. ბოლო დროს ამერიკული სამხედრო დრონის ჩამოგდება რუსული სამხედრო თვითმფრინავის მიერ საგანგაშო სიგნალად იქცა ბევრი შავიზღვისპირა და რეგიონსმიღმა სახელმწიფოებისათვის, რის შემდეგ მოსალოდნელი გახდა რომ შეტაკება აქ ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს.

ფართობით შავი ზღვა კალიფორნიის შტატზე ცოტა მეტია, მის ნაპირებზე კი ექვსი სახელმწიფო მდებარეობს - მათგან თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი ნატოს წევრები არიან, უკრაინა [და საქართველო] კი ალიანსისადმი მეგობრულად არიან განწყობილნი და მასში გაწევრება სურთ. შავიზღვისპირეთს საკვანძო რეგიონად ნატო დიდი ხნის განმავლობაში თვლიდა, რუსეთის სახელმწიფო ფედერაციის შესაკავებლად.

შავიზღვისპირეთში უდიდესი მნიშვნელობა აქვს თურქეთის როლს, რომელიც მნიშვნელოვან სატრანზიტო საზღვაო გზას აკონტროლებს - შავი და ხმელთაშუა ზღვების დამაკავშირებელ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, რომელთა მეშვეობით აქაურ ქვეყნებს მსოფლიო ოკეანეში გასვლა შეუძლიათ.

ვლადიმერ პუტინისათვის შავ ზღვას უდიდესი მნიშვნელობა უჭირავს, იმის გამო რომ გააფართოვოს მოსკოვის გავლენა, ამიტომაც ზღვის აკვატორიაში სიტუაცია არასტაბილური გახდა.

ვლადიმერ პუტინის მიერ ძალის დემონსტრირების ყველაზე ძლიერი ფაქტი გახდა 2014 წელს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ყირიმის ნახევარკუნძულის ანექსია, რომლითაც მან შავი ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში რუსეთის პოზიციები განამტკიცა და სევასტოპოლის სამხედრო-საზღვაო ბაზა მთლიანად გააკონტროლა. ამის შემდეგ კვლავ კრემლი აძლიერებს შავ ზღვაზე თავის სამხედრო ყოფნას.[12]

თავი III. ქართულ-რუსული წინააღმდეგობები

მიუხედავად იმისა, რომ მრავალი გეოპოლიტიკური უპირატესობა გააჩნია საქართველოს სუვერენიტეტული მდგომარეობის გამო ანდა ამავდროულად ბარიერები, მკაფიოდ გამოჩნდა 2008 წლის ომმის დროს რუსეთის სახე. უდიდესი საფრთხის ქვეშ აყენებს რუსეთის ნეოიმპერიალიზმის ზემოქმედება საქართველოს დამოუკიდებლობას და მის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.[30]

იქიდან გამომდინარე რომ რუსეთის პოლიტიკური მრწამსია, როგორც კისაქართველოზე კონტროლს დაკარგავს, მათთვის წარმოუდგენელი იქნება ისევ შეეძლოს ზეგავლენა ჰქონდეს სამხრეთ კავკასიაზე და იბატონოს კავკასიაზე. რუსეთის მიზანია გააკონტროლოს არამდგრადი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი,

რითიც მას საშუალება ექნება ყოფილ საბჭოთა კავშირში შემადგენელ თურქულენოვან რესპუბლიკებსა და ხალხებზე შეასუსტოს თურქეთის ზეგავლენა.

საქართველოს, როგორც რუსეთის სატელიტს, შეეძლება აკრძალოს შავი ზღვის გავლა და დასავლეთს ჩამოაცილოს ნავთობით მოვაჭრე აზერბაიჯანი და ამავდროულად აზიის ის სახელმწიფოები, რომლებიც შავ ზღვას არ ემიჯნებიან. საქართველოს კონტროლით კი რუსეთის მთავრობას ასევე შეუძლია უფრო ადვილად შეზღუდოს კავკასიის ტერიტორიაზე ევროატლანტიკური სტრუქტურების შესვლა. ხოლო საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომით, კრემლს განზრახული ჰქონდა ყველა სხვა ქვეყნისთვის დაენახა რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში კვლავ რუსეთის კონტროლი მიმდინარეობს.

ასევე სტივენ ჯონსიც თვლის რომ თვით საქართველო, რუსეთის მთავრობისთვის ომის დაწყების მთავარი მიზანი არ იქნებოდა. მისი აზრით ეს გამომდინარეობდა რომ ნატო უფრო და უფრო ფართოვდებოდა აღმოსავლეთის მხარეს, რუსეთის გეოპოლიტიკური უსაფრთხოებაც ეჭვში დგებოდა და ამავდროულად ევროპის ქვეყნების ინტერესის საკითხი ევრაზიის ნავთობისა და გაზის მოთხოვნაზე კრემლის კონტროლთან შედარებით. სწორედ ეს მთავარი ფაქტორებია რის გამოც რუსეთის მთავრობას სურს რომ საქართველო მუდმივად კონტროლზე ჰყავდეს, მასზე ირიბი თუ პირდაპირი ზეგავლენით. ასეთი ბატონობით საქართველოზე კი კრემლი გაძლიერდება და გახდება კავკასიის რეგიონის მბრძანებელი, რითიც შემდეგ ყოფილი საბჭოთა ქვეყნებზეც გაწვდება მისი ზეგავლენა.

აღსანიშნავია ის ფაქტი რომ ეგრეთ წოდებული ჩარჩოხელშეკრულება რუსეთს საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ საქართველოს გარდა ყველა მეზობელ ქვეყანასთან აქვს გაფორმებული. ორივე მხარეს უთანხმოების გამო მოხდა ადრე უარყოფა ხელშეკრულების გაფორმებისთვის, რადგან რესეთი ითხოვდა კონტრაქტის ტექსტში დაემატათ ორი მუხლი, ერთერთი იყო დამოუკიდებელ საქართველოს კონფლიქტურ მხარეებში კრემლის მნიშვნელოვანი უფლების დართვა და მეორე კი

მათ შორის ყოფილიყო ვალდებულება რომ აკრძალული ყოფილიყო მათ ტერიტორიაზე მესამე მხრის სამხედრო სტრუქტურისა და ჯარის დაყენება.[31]

დასავლეთიდან წამოსულმა დიპლომატიურმა ძალებმა აიძლა მოსკოვი შეეწყვიტა ომი 2008 წლის აგვისტოში და უკან დაეხია საქართველოს დედაქალაქისგან. მათმა ჩარევამ კი შემდეგ მშვიდობა დაამყარა საქართველოში, თუმცა რუსეთმა არ შეასრულა შეთანხმებული პირობები, სამხრეთ ოსეთისა და ცხუმაფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა. ხოლო ოსეთთან და აფხაზეთთან ამ შეთანხმებიდან გამომდინარე კრემლმა ამათ ტერიტორიაზე თავისი სამხედრო ჯარი და სტრუქტურა დადგა. სამწუხაროდ რუსეთის მიერ აღიარებული ეს ორი მხარე ცხინვალი-აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტს ადგენს, რაც კი დე ფაქტო ოკუპირებულად მიიჩნევა.

რუსეთის მთავრობა დღეისათვის აფხაზეთს, საქართველოს და სამხრეთ ოსეთს მიიჩნევს, როგორც სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. აღსანიშნავია, რომ სრულიად სხვადასხვა გაგება აქვთ რუსეთსა და დასავლეთს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის მსგავსი აღიარების მიენიჭოს. თუმცა რუსეთის პოზიციის შეცვლაზე დასავლეთს არანაირი ზეგავლენა არ გააჩნია. ამავდროულად, საქართველოს სახელმწიფოს გეგმაა ისევ გამთლიანებული საქართველოს ტიტულის მიღება. აგრეთვე, ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაცია, თუმცა აშკარაა რომ რუსეთისთვის საქართველოს ეს ნაბიჯი წამგებიანია, რაც სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო გზად იქნება დასავლეთისთვის და ამიტომ მიუღებელია.[32]

რა თქმა უნდა, რუსეთის მთავრობას საქართველოს სახელმწიფოსთან მშვიდი ურთიერთობა სჭირდება , რადგან საქართველოს ტერიტორია არის მართებული სატრანსპორტო სარკინიგზო გზა სომხეთ-რუსეთის, იქ სომხეთში განთავსებული რუსული ძალოვანი სტრუქტურის მომარაგება და სხვა დამატებითი გეგმებისთვის. თუმცა ყველაზე პრიორიტეტულია მათთვის საქართველოს მხრიდან უარის განცხადება ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანებაზე და რამენაირად რუსეთმა კვლავ მოიპოვოს დიდი ზეგავლენა. [33]

თავი IV. სატრანსპორტო დერეფანი ევროპასა და აზიას შორის

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შავი ზღვის რეგიონს ტრანსპორტის (განსაკუთრებით, საზღვაო ტრანსპორტის) განვითარების უნიკალური შესაძლებლობლობები და ხელსაყრელი გეოსტრატეგიული მდებარეობა გააჩნია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ქვეყნებს შორის პირდაპირი ეკონომიკური კავშირების დამყარებასა და განვითარების საკითხში.

რეგიონში არსებული სატრანსპორტო პოტენციალი სამომავლო ტრანსპორტირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა. ეს ფაქტორი შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოს თანამედროვე რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობის უმნიშვნელოვანესი გამაწონასწორებელი პარამეტრი. საქართველოს მთავრობა და მთელი რიგი ეკონომისტები მას ქვეყნის სამომავლო განვითარების რეალურ ორიენტირად მიიჩნევენ, რადგან საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანია სატრანსპორტო დერეფნისთვის.

ევროპა-აზიის დამაკავშირებელი გზის მსოფლიო სატრანსპორტო რუკაზე ჩინეთიდან ევროპის მიმართულებით (იგულისხმება ევროპის ცენტრალური ნაწილი) ოთხი ალტერნატიული მარშრუტია განსაზღვრული.

ჩინეთი(ლიანუნგანი) - დრუჟბის სასაზღვრო გადასასვლელი - ყაზახეთი - უზბეკეთი - თურქმენეთი - აზერბაიჯანი - საქართველო (ფოთი-ბათუმი) - აქიდან ორი

განშტოება ევროპაში - უკრაინა (ოდესა) - ჩოპის გადასასვლელი - სლოვაკია - ავსტრია და ბულგარეთსა და რუმინეთის მიმართულებით ცენტრალურ ევროპაში.[13]

ეს მარშრუტი TRACECA-ს სახელით არის ცნობილი. TRACECA-ს პროექტის მთავარი ინიციატორი საქართველოა (ედუარდ შევარდნაძე). პროექტი გულისხმობს როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და საჰაერო სატრანსპორტო კომუნიკაციების აღდგენა-განახლებას და მის ინტენსიურ გამოყენებას.

ევროპასა და ამიერკავკასიის რეგიონს შორის ეფექტური სატრანსპორტო ქსელის შექმნა საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა, რომელსაც ეკონომიკური მნიშვნელობის გარდა უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელბაც გააჩნდა. TRACECA-ს პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით და მისი რეალური ამოქმედების მიზნით, 1996 წელის 12-22 ნოემბერს ქ.სოფიაში (ბულგარეთი) შემდგარი BSEC-ისა და ცენტრალური ევროპული ინიციატივის (CEI) ქვეყნების ტრანსპოტირების მინისტრთა კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციამ მონაწილეებს ევროპა-კავკასიის დერეფნის ევროპულ კორიდორებთან მიერთება შესთავაზა. „ძველი აბრეშუმის გზის“ აღორძინებაში საქართველოს მიერ წარმოებულ საგარეო პოლიტიკას და BSEC-ის ქვეყნების საერთო ძალისხმევას უდიდესი დამსახურება მიუძღვის.

შავი ზღვის რეგიონის, კავკასიისა და აზიის დამაკავშირებელი მარშრუტები ერთიანი ევროპული სატრანსპორტო სივრცის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად არის აღიარებული.

შავი ზღვის საუკეთესო ნავსადგურები საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. საქართველოს პრიორიტეტულ როლს განსაზღვრავს, აგრეთვე საქართველოს მიერ წარმოებული მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის პოლიტიკა კავკასიის რეგიონში

---

[13] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 22

(„მშვიდობიანი კავკასიისთვის“ ინიციატივა, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიუღებლობა, ქვეყნის საომარი კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაჭრის მცდელობები და სხვ.).

ყოველივე ამის შემდგომ, ბერლინში, ევროპის ტრანსპორტის მინისტრთა კონფერენციაზე, სადაც საქართველოც მონაწილეობდა წევრის სტატუსით, ყველა ამ იდეას ევროპულ დონეზე დაუჭირეს მხარი. ევროპის მიერ BSEC-ისა და კერძოდ, საქართველოს პრიორიტეტების მხარდაჭერა, უდავოდ, მოწმობს დასავლეთის მხრიდან რეგიონით მზარდ დაინტერესებას, რაც ზრდის საინვესტიციო კლიმატის მიმზიდველობასა და მნიშვნელოვნას აფართოებს საინვესტიციო შესაძლებლობებს.

TRACECA-ს მარშრუტით სატრანსპორტო გადაზიდვების გაზრდაში თავისი წვლილი შეიტანა, აგრეთვე უკრაინას, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის დადებულმა სამხრივმა შეთანხმებამ, რომელიც ევრო-აზიური დერეფნის შექმნასა და ფუნქციონირებას შეეხებოდა. აღსანიშნავია, რომ უკრაინა, ბულგარეთი და რუმინეთი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მათი ნავსადგურების საშუალებით საქართველოს ნავსადგურებთან საბორნე მიმოსვლის ფუნქციონირებასა და ახალი ხაზების გახსნას. [14]

თუ TRACECA-ს საქართველოს მონაკვეთის მიმდინარე და პერსპექტიული განვითარების საერთო სტრატეგიას შევაფასებთ, შეიძლება ითქვას, რომ მას ქვეყნის სატრანსპორტო სისტემის საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრირების საერთო სტრატეგიამდე მივყავართ.

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შემზღუდავი ბუნებრივი და პოლიტიკური ფაქტორები (რთული რელიეფური პირობები, საზღვაო და სახმელეთო სატრანსპორტო კომუნიკაციების ხშირი მონაცვლეობა, ათეულზე მეტი სახელმწიფო

---

[14] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 23-34

საზღვრის გადალახვა და ა.შ) თავისთავად აფერხებს ტვირთბრუნვას და გადაზიდვის ღირებულებას ზრდის. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანს მძაფრი კონკურენციის პირობებში უწევს დამკვიდრება. არსებული პრობლემების მოუგვარებლობისა და დასახული ამოცანების შეუსრულებლობის შემთხვევაში ალტერნატიული გზები ყოველთვის მოინახება.[15]

„აბრეშუმის გზის“ გრანდიოზული პროექტის განხორციელების პროცესი საქართველოს ტურისტულ პოტენციას განსაკუთრებულ მნიშვნელობას და რეალურ პერსპექტივებს ანიჭებს. მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, ტურიზმიდან შემოსავლები (ნავთობის შემოსავლების შემდეგ) ყველაზე მაღალია. ტურიზმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი განვითარება უშუალოდაა დაკავშირებული სატრანსპორტო საშუალებების, მაგისტრალებისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან.[16]

საქართველოს აქვს დიდი შანსი ინოვაციური ტექნოლოგიებისა და საზღვაო ნავსადგურების ინფრასტრუქტურის განვითარებით გახდეს ცენტრალური აზიისა და მთლიანად კავკასიის ლოჯისტიკური კერა, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით არის განპირობებული. რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს ჩართულობას გაზრდის, როგორც სატრანზიტო დერეფანი, რაც სახელმწიფოსთვის იქნება ხელშემწყობი ფაქტორი მისი ეკონომიკის განვითარების.[17]

საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება დამოკიდებულია თვითონ კავკასიის რეგიონის წარმოებულ ენერგეტიკულ პროექტებზე. რა მოსაზრება განპირობებულია საქართველოში გაზის იმპორტის დამოკიდებულებაზე, მის გაზსადენებისა და მილსადენებზე. გარდა საქართველოს ინტერესი მის ენერგო უსაფრთხოებაზე, ამავდროულად არის საერთაშორისო ინტერესი იყოს იგი დაცული

---

[15] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 25

[16] ბიულეტენი #47 02. 2001 საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ეკა სეფაშვილი საქართელოს თანამშტომლობა BSEC-ში გვ 26

[17] გ. გაბედავა საქართელოს საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა გლობალური კონკურენტურნაიოანობის რეიტინგში (GC) და მისი ანალიზი

თავიანთი მიზნების გამო. შეიძლება წარმოვადგინოთ მაგალითად , ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც არის დაინტერესებული მხარე გამოიყენოს, საქართველო, კავკასიის რეგიონი და ცენტრალური აზია, როგორც ენერგეტიკის ახალი წყარო და ნაკლები დამოკიდებულება გახადოს მისი წილი სამხრეთ ამერაკაზე და სპარსეთის ყურეზე.[18]

ერთერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო 1996 წლის 8 მარტს ბაქო-სუფსა ხელშეკრულების გაფორმება საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის, მათი პრეზიდენტების გადაწყვეტილებით 30 წლიანი კონტრაქტი, რაც გულისხმობს მნავთობსადენების მშენებლობის წამოწყებას, რომელიც დასავლეთისკენ იქნებოდა გაყვანილი. პერსპექტიული ობიექტია კასპიის ზღვიდან ნავთობსადენის არსებობსა შავ ზღვამდე, რაც ამავდროულად მთლიანად კავკასიის სხვა სახელმწიფოებისთვისაც ხელსაყრელია. ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს განვითარდეს ეგრეთწოდებული აბრეშუმის გზა. უკვე პირველად არის განხორციელებული გადამუშავებული ნავთობის საქართველოს სატრაზიტო გზით მიტანა სუფსის დანიშნულების ადგილამდე. რის გამოც მოუწიათ საზღვაო გადასატვირთი სტრუქტურისა და ტერმინალის აშენება.[19]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თვალსაზრისითუფრო მეტი მნიშვნელობა ენერგორესურსების ტრანსპორტირების საკითხს ენიჭება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობსადენმა და ბაქო-თბილისი-ერზურუმის (BTE) გაზსადენმა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია გაზარდა.[20]

ენერგეტიკულმა პროექტებმა, როგორიცაა BTC და BTE, კავკასიის რეგიონი ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ნაწილად აქცია.

2006 წლიდან რუსეთის მიერ საქართველოსთვის ბუნებრივი აირის ფასის გაზრდამ, საქართველოსთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე ემბარგოს დადებამ და

---

[18] ი. გაბელია ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში 2019 გვ. 46
[19] ი. გაბელია ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში 2019 გვ. 47
[20] ზ. მჭედლიშვილი თურქეთის საგარეო პოლიტიკა გვ.294

აზერბაიჯანისთვის გაზის შეწყვეტამ, ანუ საგარეო პოლიტიკაში ზეწოლის საშუალებად ენერგეტიკის გამოყენების პოლიტიკამ ორივე ქვეყანაში მძაფრი რეაქცია გამოიწვია. ამ პოლიტიკის საწინააღმდეგოდ, აზერბაიჯანმა ბაქო-ნოვოროსიისკის ნავთობსადენისთვის ნავთობის მიწოდება შეაჩერა და გაბალას ბაზასთან დაკავშირებული შეთანხმების გადახედვა მოითხოვა. საქართველოს პასუხი კი ნატოში გაწევრიანებისთვის ძალისხმევის გაზრდა და ევროკავშირთან ინტენსიური ურთიერთობის დაწყება იყო..[21]

2006 წელს რუსეთის მიერ დაწყებული ენერგოკრიზისის დროს თურქეთმა ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის გზით მისაღები გაზიდან 800 მილიონი კუბმეტრი საქართველოს გადასცა, რითაც წვლილი შეიტანა ქვეყნის ენერგეტიკული პრობლემის გადაჭრაში.[22]

2006 წელს ამოქმედებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი პირველი მასშტაბური პროექტია, რომლითაც შესაძლებელია რუსეთის ავლით კასპიის აუზის ნავთობის მსოფლიოსთვის მიწოდება. ერთი მხრივ, ეს პროექტი უზრუნველყოფს აზერბაიჯანისა და საქართველოს სუვერენიტეტის გაძლიერებასა და თურქეთთან ერთად საერთო ეკონომიკური სივრცის შექმნას, მეორე მხრივ, თურქეთის გადაქცევას ენერგეტიკულ ხიდად და სრუტეების განტვირთვას, ამავე დროს იგი აძლიერებს ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.[23]

მსგავსი შესრულებული პროექტებისა მერე შეძლო დასავლურ ცივილიზაციის ბაზარზე მიეწოდებინა ენერგეტიკული რესურსი რუსეთის აცილებით.[24]

ნამდვილად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსული სამხედრო ავიაციის მეშვეობით დაბომბვული გაზსადენი ბაქო-თბილის-ერზრუმისა და ბაქო-თბილის-ჯეიჰნის, ასევე რამოდენიმე დაბომბვა ახლოს ბაქოსა და სუფსიის ნავთობმილსადენთან. ეს კი ნამდვილად დიდი ზიანის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო, ასეთი

[21] ზ. მჭედლიშვილი თურქეთის საგარეო პოლიტიკა გვ.296-297
[22] ზ. მჭედლიშვილი თურქეთის საგარეო პოლიტიკა გვ.299
[23] ზ. მჭედლიშვილი თურქეთის საგარეო პოლიტიკა გვ.301
[24] ი. გაბელია ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში 2019 გვ. 45

საერთაშორისო ენერგეტიკული დაკავშირების გამართულობა ეჭქვეშ დადგებოდა ძლიერი ხანძრის შემთხვევაში, იქნებოდა ბევრი დანაკარგი გაზისა და ნავთობრესურსების, სწორედ ეს გახდა მიზეზი ამ მილსადენებში კომპანიის „ბრიტანული ნავთობი“ (BP) ოპერატორმა შეაჩერა ნავთობპროდუქტის გაშვება.

ამ ნავთობსადენის სატრანზიტო გზის გაჩერებით გამოწვეული ზარალი კი ყოველდღე 300 000 აშშ დოლარი იყო, ეს კი მარტო ბაქო-თბილის-ჯეიჰანის გათვალისწინებით.[25]

გეგმა შედგენილია ტრანსანატოლიური გაზსადენის (TANAP)-ის მიერ, რის მიხედვითაც აზერბაიჯანის ტერიტორიიდან სატრანზიტო გზად საქართველო-თურქეთი იქნება და ბუნებრივი აირის გადაცემა მოხდება ევროპისკენ. ეს კი საშუალებას მისცემს ბუნებრივი აირის მოპოვებას გაზის საბადო ლოკაცია შაჰ დე ნიზ 2-ში. ხოლო რაც შეეხება გეოგრაფიულ არეალს, სათავე მილსადენის იქნება საქართველო - თურქეთის საზღვართან და შემდეგ გატარებულია თურქეთის მთლიანი ქვეყანის გადაკვეთით და მთავრდება თურქეთ-ევროპის საზღვართან.

მაშინ როდესაც არ არსებობს დაზუსტებული მილსადენის გზის მიმართულება, მაინც არის განცხადებული რომ რომელიღაცა მიმართულება მილსადენისთვის საბერძნეთისკენ იქნება, და სხვა ასევე ბულგარეთისკენაც წავა. ხოლო სავარაუდოთ ცნობილია, რომ გაზსადენი შეურთდება ტრანსადრიატიკულ მილსადენს. ხოლო ამ გაზსადენის მარშუტის გავლით კი ევროპა მომარაგდება კასპიის ზღვის ტერიტორიაზე წარმოებული გაზით. ამავდროულად იგეგმება პროექტი საბერძნეთ-თურქეთის საზღვრის ტერიტორიაზე ტრანსანატოლიური სადენის (TANAP) დაკავშირება ახალ გაზსადენთან. ამ გეგმის შემდეგი ნაბიჯია იტალიისკენ გატარება TAP - ის გაზსადენის, ჩრდილოეთ საბერძნეთისა, ალბანეთისა და ამავდროულად

[25] ზ. მჭედლიშვილი თურქეთის საგარეო პოლიტიკა ii გვ. 14-15

ადრიატიკის ზღვის გავლის მეშვეობით. ეს კი გულისხმობს რომ საბოლოოდ გაზსადენი იტალიის ტერიტორიაზე მყოფ სადენს შეუერთდება.

რაც შეეხება თვითონ მთლიანი გაზსადენის სიგრძე კასპიის ზღვიდან ევროპამდე ნავარაუდევია 3500 კილომეტრი შეადგინოს. [26]

რაც შეეხება რეკომენდაციებს, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე დასავლელი ექსპერტთა უმრავლესობა ევროკავშირს ურჩევს რომ თურქეთი სასწრაფოდ გააწევრიანონ, ამით კი ისინი ყველაზე საუკეთესო ტერიტორიას გააკონტროლებენ ენერგორესურსების გატარებისთვის, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახლო აღმოსავლეთ ქვეყნებთან, კავკასიასა და ავღანეთთან დაკავშირებისთვის. შედეგად კი ევროპის ქვეყნებს რუსეთის სახელმწიფოს შეხების გარეშე შესაძლებლობა ექნება დაკავშირდეს კასპიის ზღვისა და შუა აზიის უმსხვილეს ენერგოსაბადო კომპანიებთან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ენერგეტიკული კრიზისის შევსებისთვის.[27]

თუკი თურქეთი შეუერთდება ევროკავშირს, მაშინ სამხრეთ კავკასია ევროკავშირის უშუალო მეზობელი გახდება და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების შანსი კიდევ უფრო გაიზრდება

საქართველოსთვის ძალზედ სარგებლიანი იქნება, იმ შემთხვევაში თუკი, თურქეთი შეძლებს შეუერთდეს ევროკავშირს, რადგან ზემოთ ხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე საქართველოსთვის ეს ასევე გახდეს წევრი ამ შანსის მომატებას ნიშნავს .[28]

---

[26] ი. გაბელია ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში 2019 გვ. 49-50
[27] ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები 1 (20) 2017 გვ. 154
[28] ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები 1 (20) 2017 გვ. 156

დასკვნა

წინამდებარე საბაკალავრო ნაშრომში განხილული იქნა, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის BSEC-მნიშვნელობა შავი ზღვის რეგიონისთვის, საქართველოს მონაწილეობა ამ ორგანიზაციაში, ევროკავშირის ინტერესი შავ ზღვაზე და რუსეთის, როგორც რეგიონის ყველაზე კონფლიქტური სახელმწიფოს დამოკიდებულება შავი ზღვის გარშემო მიმდინარე პროცესებზე.
შესაბამისად, კვლევის ფარგლებში შევეცადე გამოგვერკვია:
BSEC-ას მნიშვნელობა და დანიშნულება, რის შედეგადაც მივედით იმ დასკვნამდე, რომ შავი ზღვის აუზის ქვეყნებმა აუცილებელია მოახდინონ ერთმანეთთან ინტეგრაცია განურჩევლად მათი ისტორიული წარსულისა, რადგან სხვა შემთხვევაში შეუძლებელია მათი ეკონომიკის განვითარება, შავი ზღვის პოტენციალის ათვისება და მშვიდობის შენარჩუნება.
ხაზგასმით ავღნიშნეთ და გამოვარკვიეთ ევროკავშირის პოლიტიკა თუ ინტერესები შავი ზღვის რეგიონში. კონკრეტულად - ევროკავშირს და დასავლეთს რეგიონი სჭირდება როგორც ვაჭრობის განვითარების გაგრძელებისთვის, ასევე საკუთარი ენერგო და ნავთობ უსაფრთხოების გარანტიებისთვის. სწორედ ამიტომ დასავლეთი ცდილობს მაქსიმალურად გააფართოვოს თავისი გავლენა შავი ზღვის აუზის ქვეყნებზე,დაეხმაროს მათ ეკონომიკურ წინსვლაში და სანაცვლოდ სარგებელიც უყოყმანოდ მიიღოს, თუმცა არსებობს ერთი დაბრკოლება - რუსეთი.
ჩვენთვის ცნობილია რუსეთის ანტიდასავლური განწყობები. კრემლი ვერ შეეგუა აწმყოს, ახალ საზღვრებს და დღემდე ცდილობს იყოს რეგიონის ყველაზე გავლენიანი ქვეყანა. მას თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე არ სურს, რომ შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებმა მაქსიმალური მხარდაჭერა მიიღონ დასავლეთისგან და ყველანაირ ბერკეტს იყენებს იმისათვის, რომ ევროკავშირის გავლენა რეგიონზე შეასუსტოს. უფრო კონკრეტულად, კი ქმნის და ინარჩუნებს კონფლიქტურ კერებს საქართველოსა და უკრაინაში, რითაც აფერხებს როგორც ამ

ორივე ქვეყნის განვითარებსას, ასევე ზოგადად რეგიონისა და ევროკავშირის განვითარების ეტაპებს.
რაც უფრო მეტად ცდილობს დასავლეთი რეგიონში შემოსვლას, მით უფრო დიდია აგრესიული ქმედებები რუსეთის მხრიდან. საქართველოსა და უკრაინის სუვერენიტეტის დარღვევით, იგი მაქსიმალურად უხლართავს რეგიონში შემოსასვლელ გზებს ევროკავშირს, რითაც კიდევ ერთხელ აღინიშნება, რომ ზიანდება არა მხოლოდ საქართველოსა და უკრაინის, არამედ მთელი რეგიონის ინტერესები, განსაკუთრებით კი ეკონომიკა.
საქართველოს ევროპული მომავალი უცველია. ჩვენ კარგად ვხვდებით, რომ საკუთარი ფინანსებით, დამოუკიდებლად ვერ გამოვიყენებთ იმ გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რაც გვაქვს. რუსეთისგან თავის დასაღწევად, ეკონომიკუს გასაძლიერებლად, განვითარებისთვის აუცილებლად გვჭირდება შავი ზღვის მაქსიმალური ათვისება და ევროპის დახმარება, რასაც ამ ეტაპზე ძალიან ძნელად ვიღებთ, მთავარი მპრობლემა კი რუსეთია.
მილსადენები და აბრეშუმის გზა - ეს პროექტები საქართველოსთვისაც და ევროკავშირისთვისაც უმნიშვნელოვანესია, სადაც თურქეთი უდიდეს როლს თამაშობს. დასავლეთს ძალიან უნდა იყოს ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფილი, თურქეთს ამის მიცემა შეუძლია და სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რითაც წესით თურქეთი ძალიან მალე უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. თურქეთის წინსვლა კი საქართველოს აუცილებლად გამოადგება, გარდა ამისა, თურქეთისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელიც კი არის საქართველოში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, რადგან თურქეთისთვის ვართ სატრანზიტო ქვეყანა ტრანსრეგიონალური ეკონომიკური პროექტებისთვის.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ იმ მიზნების მისაღწევად, რომელისც დასახული იქნა ნაშრომის წარდგენისას, ჩვენი მიდგომა გამართლებული აღმოჩნდა და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით შემდგომში

კვლევების გაღრმავებისა და პოლიტიკური რეალობის გარჩევის პერსპექტივის თვალსაზრისით.

გამოყენებული ლიტერატურა:

პეტრიაშვილი, ს. (2017) , კვლევის დიზაინი და თეორიის როლი. სალექციო მასალა საბაკალავრო სემინარისთვის. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი

ბოჭორიშვილი, ბ. (2023) , ნატო შავი ზღვის რეგიონში

ბატიაშვილი, დ. (2021) , რუსეთის სტრატეგია და შავი ზღვა

სონღულაშვილი, ა. სარალიძე, ლ. (2017) , ახალი და უახლოესი ისტორიის საკითხები 1 (20)

ბატიაშვილი, ზ. (2021) , თურქეთი და შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხი

გაბელია, ი. (2019) , ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში

გაბედავა, გ. საქართელოს საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა გლობალური კონკურენტურნაიოანობის რეიტინგში (GC) და მისი ანალიზი

გოგოლაშვილი, კ. (2018) , ევროკავშირის შავი ზღვის პოლიტიკა და გაფართოება

სეფაშვილი, ე. „ბიულეტენი #47 (02. 2001), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საქართელოს თანამშრომლობა BSEC-ში

კვირის პალიტრა (20.03.2023) , რატომ ითვლება შავი ზღვა ცხელ წერტილად რუსეთსა და დასავლეთს შორის NYT

მჭედლიშვილი ,ზ. თურქეთის საგარეო პოლიტიკა

პეტრიაშვილი, ა. (2021) , საქართველო, ნატო და შავი ზღვა

როდონელი, ა. (2013), საქართველო-რუსეთი: უარყოფითიდან დადებით გაურკვევლობამდე

სურმავა, გ. (2021), შავი ზღვა - მოთამაშეთა ინტერესები და შესაძლებლობები

EFE, H. (2024), THE EUROPEAN UNION'S BLACK SEA REGION POLICY , https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/155328

Lyubcheva , M. (2024) , The Black Sea Region in EU Policies, https://library.fes.de/pdf-files/bueros/sofia/07769.pdf

Emerson, M. (2008) , THE EU'S NEW BLACK SEA POLICY, https://ciaotest.cc.columbia.edu/wps/ceps/0001469/0001469.pdf

Meister, S. (2022) , Geopolitical Shifts in the Black Sea Region, https://ip-quarterly.com/en/geopolitical-shifts-black-sea-region